საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030199878085620

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/1082 **29 / იანვარი / 2020 წ.**

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს"
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი № 6/4233 წერილი (23.01.2020წ.), რომელიც ეხება ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდისათვის "საქართველოს კარიტასი" ქ. რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (№ 18 სკოლის მიმდებარე ტერიტორია) არსებული 4908 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული № 1 და № 2 შენობა-ნაგებობების (ს/კ 02.04.02.528) პრივატიზების საკითხს.
როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამას, რომლის სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ რეგისტრირებულია მომსახურებების მომწოდებელ ორგანიზაციად. მათ შორის, ფონდი ქ. რუსთავში ადმინისტრირებას უწევს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარს და დღის ცენტრს.
აქვე გაცნობებთ, რომ სამინისტროსათვის ძალიან მნიშვნელოვანია „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურების ფუნქციონირება ქ. რუსთავში. ამასთან, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ საიმედო და კარგი პარტნიორია, რომელიც არაერთი წელია თავისი პროგრამებითა და პროექტებით ხელს უწყობს ბავშვთა კეთილდღეობისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებას, საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასი“ მიერ გაწეული თანადგომა და წვლილი ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა სერვისების განვითარების მიმართულებით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასი“ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების მათთვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მასზე თავშესაფრისათვის თანამედროვე ტიპის შენობა-ნაგებობის აშენების მიზნით და მშენებლობის დასრულებიდან 25 წლის განმავლობაში სოციალური პროგრამების განხორციელების ვალდებულებით.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია